სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 14 04/136

(სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ)

CPV: **75230000** - სამართლებრივიმომსახურებები

ქ.თბილისი 04 ივნისი, 2012 წელი

ერთის მხრივ, *სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ისრითის საჯარო სკოლა* (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის ლაზარე კაპატაძის სახით და მეორეს მხრივ, *სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"* (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ბადრი ნიაურის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ტ" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 მარტის N73\ნ ბრძანების საფუძველზე და სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ისრითის საჯარო სკოლის 2012 წლის 04 მაისის N4-40 (N03-1\1978 07.05.2012) წერილის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.ხელშეკრულების ობიექტია მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით შემსყიდველი ორგანიზაციისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა, კერძოდ - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის განხორციელება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით (სტატუსი - ხელშეკრულება გაფორმებულია).

2. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით გაწეული მომსახურების შესყიდვა, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს თვეში 300 (სამასი) ლარს დღგ-სა და ყველა სხვა გადასახადის ჩათვლით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

1.მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2012 წლის 11 ივნისიდან 2012 წლის 11 ივლისის ჩათვლით.

2.მომსახურების გაწევის ადგილია - ქ.თბილისი, ალექსიძის N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული.

[illegible]

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით, რაც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის წარმომადგენლების ხელმოწერით.

2. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერის უფლებამოსილება ენიჭებათ სააგენტოს შესყიდვების სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო შემსყიდველის მხრიდან შემსყიდველის ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი - ლაზარე კაპატაძე.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

1.ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების საშუალებით ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვის გზით.

2.შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

3. ანაზღაურების ადგილია - ქ.თბილისი.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება.

7.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა.

7.1.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაცემული დოკუმენტაციის უკან დაბრუნება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1მიაწოდოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია\დოკუმენტაცია.

7.2.2მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და დადგენილ ვადაში.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციის\დოკუმეტაციის მიწოდება.

7.3.2 მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და პირობების შესაბამისად.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მომსახურება, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.4.2 დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

7.4.3 შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, დაუბრუნოს მას მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

1.მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. ხელშეკრულების

პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება რაც მას მიადგა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.
3. ხელშეკრულებიდან გასვლასა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 11 ივნისს და მოქმედებს 2012 წლის 11 ივლისის ჩათვლით.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა, ცვილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ხელმოწერით დადასტურებული შეთანხმების გაფორმების გზით.

მუხლი 11.ფორს-მაჟორი

1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვასტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, აღნიშნულ გარემოებათა დასრულების შემდეგ.
2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

1.შემსყიდველი უფლებამოსილია, შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწიენებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი - ლაზარე კაპატაძე.

3. შემსყიდველის მიერ გაწეული მომსახურების შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის ან დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზები.

მუხლი 14. ხელშეკრულების სხვა პირობები

1.ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მხარეები მესამე პირებთან ურთიერთობისას მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

2.ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო სამი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ისრითის საჯარო სკოლა
მისამართი: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ისრითი
ტელ: 577 64 36 15; 595 90 85 60; 595 58 01 91
ს\კ 229726598
სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი LBRTEGE22
ა\ა GE77LB0121150782147000

უფლებამოსილი წარმომადგენელი
ლაზარე კაპატაძე

(ხელმოწერა, ბეჭედი)

მიმწოდებელი:
სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"
მისამართი: ქ.თბილისი, ალექსიძის N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული
ტელ: 220 02 20
ს\კ 202294980;
სს „ბანკი რესპუბლიკა" კოდი REPLGE22, ა\ა GE31BR0000010639353293

დირექტორის მოადგილე
ბადრი ნიაური

(ხელმოწერა, ბეჭედი)